

შავი ჭირის პანდემია მე-14 მე-17 საუკუნეების სამყაროში:

ქართული მასალა ზოგად კონტექსტში

ანნა ჭინჭარაული

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

შუა საუკუნეების კვლევები (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების ისტორია, რელიგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო აბაკელია, საპატიო პროფესორი, ემერიტუსი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ანნა ჭინჭარაული

05.07.2020

მადლობა

ნაშრომზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის ავტორის განსაკუთრებული მადლობა ხელმძღვანელს, ქალბატონ ნინო აბაკელიას ეკუთვნის. ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ ნაშრომზე მუშაობა პანდემიის პირობებში მიმდინარეობდა, დიდი მადლობა პროფესორებსა და ყველა იმ ადამიანს, ვინც ლიტერატურითა თუ სასარგებლო რჩევებით გასწია დახმარება. ძალიან დიდი მადლობა რესპონდენტებს, მათ მიერ კვლევის პროცესში მოწოდებული ინფორმაცია ფასადაუდებელია !

ბოლოს, მადლობა მშობლებს, რომლებიც ამ ნაშრომზე მუშაობისას, მოტივაციის მთავარ წყაროს წარმოადგენდნენ.

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის „შავი ჭირის პანდემია მე-14 - მე-17 საუკუნეების სამყაროში : ქართული მასალა ზოგად კონტექსტში“ კვლევის ობიექტს წარმოადგენს *შავი ჭირის* ან *შავი სიკვდილის* სახელწოდებით ცნობილი ინფექციური დაავადება, რომელიც შუა საუკუნეების ევროპას რამდენჯერმე დაატყდა თავს და დიდი ადამიანური დანაკლისი მოუტანა.

ევროპული ისტორიოგრაფიისგან განსხვავებით, შუა საუკუნეების ქართული დოკუმენტების დიდი ნაწილი ფრაგმენტული და დაკარგულია. გავრცელებული დაავადებების შესახებ, ძირითადად, ძველი საექიმო წიგნებიდან ვგებულობთ. თუმცა, სიცარიელის შევსება შესაძლებელი ხდება არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალით, რაც შედარებით - ისტორიოგრაფიული მეთოდისა და ეთნოგრაფიის, როგორც მეთოდის გამოყენებასა და კომბინირებას გულისხმობს. გარდა ამისა, 2020 წელს, კვლევის პროცესში შეიკრიბა *შავ ჭირთან* დაკავშირებული ემპირიული მასალა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ხევსურეთი, თუშეთი).

კვლევის მიზანია, გაარკვიოს, ევროპაში შავი სიკვდილის სახელით ცნობილი დაავადების იდენტიფიცირების საკითხი შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო - საექიმო წიგნებში სხვადასხვა სახელით დადასტურებულ დაავადებებთან. ხოლო მეორე მხრივ, რამდენად არის შესაძლებელი საქართველოს ტრანზიტულ ქვეყნად ჩათვლა, საიდანაც დაავადების ევროპაში გავრცელება იქნებოდა შესაძლებელი.

კვლევის შედეგად, გამოვლინდა, რომ ევროპისკენ მიმავალი აბრეშუმის გზის მეშვეობით, მონღოლთა ბატონობისას, დაავადება საქართველოშიც უნდა გავრცელებულიყო. თუმცა, ის ნაკლებად მასშტაბური იქნებოდა. ეთნოგრაფიული მასალით ვლინდება, რომ მონღოლთა ლაშქრობების პარალელურად ან შემდგომ გავრცელებული დაავადება ხალხის რწმენა- წარმოდგენებშიც აისახა, როგორც მტერი, რომელიც აღწერილობით ძალიან ჰგავს მონღოლ მეომარს.

საკვანძო სიტყვები: *შავი ჭირი, ევროპა, საქართველო, აბრეშუმის გზა, მონღოლთა ურდო, ანდრეზები.*

Abstract

The Master's Thesis - *The Black Death Pandemic in 14th -17th cc. medieval world : Georgian case in general context* - aims to explore *The Black Death*, the well - known pandemic disease in the medieval Europe, which out several times throughout the Europe and killed thousands.

Unlike the European historiography, Georgian chroniclers are scanty as the great majority of documents are incomplete or lost. Mainly we learn about the Diseases in Georgia from medieval Georgian medicine books. Through such Lacuna could filled with Archaeological (cripts called in Georgian “Akldamebi” and “Nakhiznarebi”) and Ethnographic (Oral histories and popular poetry) data, that implies us to use and combine historical – comperative and ethnographic methods.. Besides in 20 ths empirical data had been gathered in mountainous eastern Georgia (in particular, in Khevsureti and Tusheti).

The present research has two arguments : whether is it possible to identify the disease known in medieval Europe as Black Death with the disease described in Georgian historical sources; the second - in what degree Georgia could be considered as one of the transitional stations along the silk road. By means of which the mentioned disease could transported from Asia to Europe.

On the basis of analysis, it had been revealed that the mentioned *Black death* might be spread in Georgia during the Mongol invasion. Through it was less in scale. According to the Georgian Ethnographic data the mentioned disease was imagined as group of enemies who resembled much Mongol invaders in descriptions.

Keywords : *The Black Death, Medieval Europe, Medieval Georgia, Silk Road, The Golden Horde, Oral Histories.*